



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან  
იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა  
და ლტოლვილთა მინისტრი

ბრძანება № 389

02.09.2013

მ. თბილისი

დეწნილთათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის (დაკანონების) წესის დამტკიცებისა და საცხოვრებელი ფართების დაკანონების საკითხზე მომუშავე კომისიისა და მისი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის N34 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტისა და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „რ“ და „ს“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „დეწნილთათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის (დაკანონების) წესი“ - დანართი N1.
2. შეიქმნას საცხოვრებელი ფართების დაკანონების საკითხზე მომუშავე კომისია და მისი სამუშაო ჯგუფი - დანართი N2.
3. დამტკიცდეს „დეწნილთა განსახლების ობიექტის ფაქტობრივად მაცხოვრებელი დეწნილი ოჯახების აღჭერის (პროფაილინგი) ფორმა“ - დანართი N3.
4. დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფის წევრების სამუშაო აღწერილობა - დანართი N4.

5. ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სასაბუნსკელო (ს. გორდულაძემ) უზრუნველყოს ამ ბრძანების ასლი მიწოდება დევნილთა საკითხებისა და იურიდიული დეპარტამენტებისათვის.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



დავით დარაბველიძე

## დევენილთათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის (დაკანონების) წესი

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევენილთა საკითხების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი), „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6 აგვისტოს N90 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ელექტრონული საქმისწარმოების წესის“ (შემდგომში - საქმისწარმოების წესი) შესაბამისად, შესასრულებლად უნდა დაეწეროს დევენილი მოქალაქე(ებ)ის კორესპონდენცია, მათ ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათთვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

2. დეპარტამენტის უფროსი, საქმისწარმოების წესის შესაბამისად, ამ წესის პირველ პუნქტში აღნიშნულ კორესპონდენციას შესასრულებლად დააწერს დევენილთათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის (დაკანონების) საკითხზე მომუშავე კომისიის (შემდგომში - კომისია) სამუშაო ჯგუფის უფროსს და/ან წევრებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კორესპონდენციის შესრულებაზე.

3. სამუშაო ჯგუფის წევრები შემოსულ კორესპონდენციაში მოხსენებული ობიექტის შესახებ ინფორმაციას ამოწმებენ დევენილთა მონაცემთა ბაზაში და ახდენენ შენობის იდენტიფიკაციას მისი მესაკუთრის დადგენის მიზნით.

4. კორესპონდენციის შემსრულებელი ამზადებს წერილს ობიექტის დევენილთათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, ობიექტის გადმოცემის თაობაზე და დეპარტამენტის უფროსის ან ამ ბრძანების მე-2 პუნქტით შექმნილი კომისიის თავმჯდომარის - მინისტრის მოადგილის ხელმოწერით აგზავნის შესაბამის უწყებაში, კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი სახელმწიფო საკუთრებაა, წერილი იგზავნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში); თუ ობიექტი თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე ირიცხება ან საკუთრებაშია, ობიექტის გადმოცემაზე მოთხოვნა იგზავნება შესაბამის თვითმმართველ ორგანოში, რომლისგანაც თანხმობის მიღების შემთხვევაში, ხორციელდება ქონების მიტოვების პროცედურა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ობიექტი რეგისტრირდება სახელმწიფო საკუთრებაში. იმ შემთხვევაში, თუ დევენილი ოჯახები სარგებლობენ საცხოვრებელი ფართებით, რომელიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას, დევენილებს ეცნობებათ, რომ საცხოვრებელი ფართები არის კერძო პირის საკუთრებაში და საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცედურების განხორციელება, მესაკუთრის თანხმობის არარსებობის გამო, შეუძლებელია.

5. იმ შემთხვევაში, თუ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) თანახმაა ობიექტის დევენილთათვის საკუთრებაში გადაცემაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამისი წერილის საფუძველზე,

დკაოტაჟიტი უფროსი ძიძართავს წერილობით ამზომველ კომპანიას, რომელთანაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროს აქვს გაფორმებული შესაბამისი მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება, აღნიშნულ ობიექტზე შესაბამისი მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობის საკადასტრო აზომვითი ნახაზის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) და საცხოვრებელი ფართების შიდა აზომვითი ნახაზების მომზადებისათვის. დეპარტამენტის უფროსის წერილში მიეთითება კონკრეტული ობიექტი, მისამართი და კონკრეტული მოთხოვნა ამზომველი კომპანიის მიერ ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

6. სამუშაო ჯგუფის უფროსი/წევრი ამზადებს და დეპარტამენტის უფროსის ან ამ ბრძანების მე-2 პუნქტით შექმნილი კომისიის თავმჯდომარის - მინისტრის მოადგილის ხელმოწერით აგზავნის წერილს სააგენტოში ობიექტის და მასში არსებული საცხოვრებელი ფართების, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირების მიზნით.

7. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო უარს აცხადებს ობიექტის დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემაზე, ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცედურით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება ჩერდება.

8. ამ წესის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ღონისძიების შედეგად, დევნილთათვის საკუთრებაში გადასაცემ ობიექტებში არსებული საცხოვრებელი ფართების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შემდგომ, სამუშაო ჯგუფის შესაბამისი წევრები უზრუნველყოფენ კონკრეტულ ობიექტში მაცხოვრებელ დევნილთა შესახებ ინფორმაციის მოქმედებას მონაცემთა ბაზაში და ამ ობიექტებში ფაქტობრივად მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების ადგილზე აღწერას (პროფაილინგს), შიდა აზომვითი ნახაზების შესაბამისად, შენობაში ცალკეული ბინა-ერთეულის და მასში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახის სწორად იდენტიფიცირების, ოჯახის წევრებისა და მათი ნათესაური კავშირების და სხვა შესაბამისი საჭირო ინფორმაციის მითითებით. ობიექტებში ფაქტობრივად მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების ადგილზე აღწერისას (პროფაილინგისას) ივსება ამ ბრძანების მე-3 პუნქტით დამტკიცებული N3 დანართი - „დევნილთა განსახლების ობიექტში ფაქტობრივად მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების აღჭერის (პროფაილინგი) ფორმა“.

9. ობიექტში ფაქტობრივად მაცხოვრებელ დევნილთა შესახებ ჩატარებული აღწერის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და სია განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად სამუშაო ჯგუფის უფროსის მიერ წარედგინება კომისიას.

10. თუ დაკანონების მსურველი პირ(ებ)ი ცხოვრობენ 2007 წლის შემდეგ, დევნილთა განსახლების მიზნით, სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან/და აშენებულ ახალ ობიექტებში, ამ შემთხვევაში კომისია გადაწყვეტილებას იღებს „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს N320 ბრძანების მე-3 პუნქტით დამტკიცებული „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი“ - დანართი N4 და „სოციალური კრიტერიუმი“ - დანართი N5 და მე-4 პუნქტით დამტკიცებული „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნების

კათვალისწინებით“ - დანართი N6 შესაბამისად და დაკანონების მსურველი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია/მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს ამ კრიტერიუმებს.

ამასთან, თუ დაკანონების მსურველ პირთა შესახებ ინფორმაცია/მონაცემები არ შეესაბამება მოცემულ კრიტერიუმებს, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, საკუთრებაში გადასაცემი ობიექტი წარმოადგენს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს. ამ შემთხვევაში, კომისია გადაწყვეტილებას იღებს სამუშაო ჯგუფის შესაბამისი წევრების მიერ ობიექტზე ფაქტობრივად მაცხოვრებელ დევნილთა აღწერის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციისა და დევნილთა მონაცემთა ბაზაში აქამდე არსებულ მონაცემების შესაბამისად.

11. კომისიის მუშაობას ხელშეწყობს კომისიის თავმჯდომარე,

12. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ, კომისიის თავმჯდომარის უკუდასრულებით.

13. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება კომისიის თავმჯდომარეს.

14. კომისიის სხდომები ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც აწარმოებს კომისიის მდივანი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

15. კომისიის წევრს უფლება აქვს დააფიქსიროს განსხვავებული აზრი, რაც აისახება სხდომის ოქმში.

16. კომისიის ოქმის შესაბამისად, დადებითი გადაწყვეტილების მქონე დევნილი ოჯახების ერთიანი სია კომისიის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი შუამდგომლობის წერილით გაიგზავნება სააგენტოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შემდგომში დევნილთათვის პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად, გადაცემის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების გამოსაცემად.

17. საქართველოს პრეზიდენტის მიერ შესაბამისი აქტის გამოცემისა და საქმისწარმოების წესის შესაბამისად რეგისტრაციის შემდგომ, სამუშაო ჯგუფის უფროსი სამინისტროს ცხელ ხაზს აწვდის განკარგულების დანართში მითითებულ დევნილთა სიას, მათი ინფორმირების მიზნით, რათა დევნილი ოჯახის ყველა სრულწლოვანმა წევრმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელთან ერთად მოახდინოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერა, რის შემდეგაც შესაბამისი საცხოვრებელი ფართი რეგისტრირდება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“, როგორც შესაბამისი ფიზიკური პირ(ებ)ის (დევნილის/დევნილთა) საკუთრება/თანასაკუთრება.

18. ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, სამუშაო ჯგუფის უფროსი კერძო საკუთრებაში/თანასაკუთრებაში დარეგისტრირებული საცხოვრებელი ფართის, ასევე ამ ფართში ფაქტობრივად მცხოვრები და ნასყიდობის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული დევნილთა (დევნილი ოჯახის წევრების) შესახებ ინფორმაციას მოხსენებითი ბარათით წარუდგენენ კომისიის თავმჯდომარეს, რის შემდგომაც თავის მხრივ კომისიის თავმჯდომარე სატანადო მოხსენებითი ბარათით მიმართავს მინისტრს დევნილთა მონაცემთა ბაზაში ამ მონაცემების ასახვის თაობაზე მინისტრის თანხმობის მიღების მიზნით.

19. მინისტრის თანხმობის შემდეგ, ამ მუხლის მე-18 პუნქტის შესაბამისად დამუშავებული მონაცემების ასახვა დევნილთა მონაცემთა ბაზაში ხორციელდება მინისტრის



იდივიდუალური საქართვებრივი აქტით განსაზღვრული უფლებამოსილი დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ.

20. ამ წესის მიზნებისათვის, თუ საჭიროა კომისიის ან მისი სამუშაო ჯგუფის წევრების მივლინება საქართველოს რეგიონებში, კომისიის თავმჯდომარე - მინისტრის მოადგილე შესაბამის მოხსენებით ბარათს წარუდგენს მინისტრს, მივლინების თაობაზე ე.წ. დაწყვეტილების მიღების მიზნით.

